„მე შენ მიყვარდი, შენ მწამდი, შენ გემსახურებოდი, როგორც შემეძლო“...

# ნიკოლაძის გაზეთი



ეროვნულ-საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაზეთი №5 (294) 28 მაისი, პარასკევი, 2021 წელი; ფასი 1 ლ.

## XX საუკუნე – საქართველოს 2-ჯერ დაკარგული დამოუკიდებლობა ერთმორწმუნე რუსეთის გამო, ფრთხილად ქართველებო, – არ გასამდეს!

26 მაისი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დღეა - გვეზეიმება კი?...

**საქართველოს ისტორია სიცოცხლისა და თავისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიაა, ვიყოთ მისი ღირსი**

*გასული საუკუნიდან ვზეიმობთ ამ დღეს, თუმცა ის არ არის მილიონთა თავგანწირვის ადეკვატური. რამდენადაც ამდენი გარეშე და შინაური მტერი არ ყოლია ქვეყანას, რამაც იძულებული გახადა ქართველობა თავის გადასარჩენად საზღვარგარეთ გადახვეწილიყო. 30 წლიანი დემოკრატიის ნაცვლად მივიღეთ დემონოკრატია, უცხოელები მართავენ ქვეყანას. ხელისუფალთ ერთმანეთის გინებით გააქვთ თავი. არადა, ხალხი, რომელმაც ყველაფრის ძალა და უფლება მისცა მათ, უკეთესს იმსახურებს. სამწუხაროდ, არ ჩანს ეროვნული ძალები.*

## 30 წლიანი გადასახედი

ამ ქვეყანას აქვს დემოკრატიული მომავალი? რითაა ფეხმძიმე საქართველო?



**მიშას ძალადობრივი რეჟიმის მემკვიდრე**

დაუსწრებელი ცხოვრება, დაუსწრებელი სწავლა ,,**ახალგაზრდები ანცობენ**" – ,,**სიცოცხლე ქურდებს**"– **ახალი სლოგანი** საქართველოს შინაური მტრები და მოღალატეები მოუღებს ბოლოს, იქნებ გამოვფხიზლდეთ მანამდე...

მე-2გვ

## ქალაქის დღე ასე აღინიშნა



ფოთი-ფაზისი ლეგენდების ქალაქი, კულტურისა და განათლების მსოფლიოში აღიარებული უძველესი კერა.

**,,თუ ქალაქს ღმერთი არ იცავს,ამაოდ ფხიზლობენ გუშაგნი"**

,,ჯერ კიდევ როდის ფოთობდა ფოთი, ჯერ კიდევ როდის გვიხდიდნენ ბოდიშს"

**მათ ფოთი უყვარდათ და ღირსეული კვალიც დატოვეს.**

**ნიკო ნიკოლაძე** -,,მე შენ მიყვარდი,შენ მწამდი,შენ გემსახურე, როგორც შემეძლო...

მე-3 გვ

## ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანების სამკითხველო დარბაზს ქართველი კლასიკოსი მწერლის გურამ დოჩანაშვილის სახელი მიენიჭა




მე-4 გვ

## ვულოცავთ

### ფოთელი დიანა ლომაია მსოფლიო ჭადრაკის ფედერაციის ოსტატი გახდა



ქალაქ ფოთის საჭადრაკო სკოლის მოსწავლეს, დიანა ლომაიას მსოფლიო ჭადრაკის ფედერაციის ოსტატის წოდება მიენიჭა. კიდევ ერთხელ ვულოცავთ დიანას ამ დიდ წარმატებას!

## *საქართველომ 12 მაისს ღვთისმშობლის წილხვედრობის ეროვნული დღესასწაული და ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღე აღნიშნა.*





*გფარავდეთ ღვთისმშობლის მადლი!*

## *პატივგება: დიდი გენერალი გიორგი კვინიტაძე სამშობლოს დაუბრუნდა და სამშობლო შეგვახსენა – ,,სამშობლო, როგორც უფალი, ერთია ქვეყანაზედა"...*



*საქართველოს დამოუკიდებლობის დღეებში თბილისში ჩამოასვენეს სამშობლოსათვის თავგანწირული დიდი მხედართმთავარი, გენერალი* ***გიორგი კვინიტაძე.***

*მადლიერი შთამომავლობა ყოველთვის დააფასებს მის ღვაწლს ერისა და ქვეყნის წინაშე.*

*ბატონო გენერალო, სამშობლოსათვის თავგანწირულო რაინდო, დროზე ჩამოასწარი ორ მტურლ ბანაკად დაყოფილ ქვეყანას. უთანასწორო ბრძოლაში ხან რუსს ებრძოდი, ხან - თურქს, ქართველებიც მტრობდნენ, შემდეგ რომ კარს ულებდნენ მათ, ხან ომით და ხან-უომრად. შენს მერე კოტოვან - ქობალიას გენერლობით დაერივნენ ქართველები ერთმანეთს. შურმა და მტრობამ, ყველაზე ძლიერმა უხილავმა მტერმა გაამათხოვრა ხალხი. გაყიდეს ქვეყანა ათასნაირი საბაბით.*

*ერთი-ორი კაცი მოგვცა თქვენისთანა ერის კაცი, გამოაფხიზლებდით მიძინებულ ერს, ღირსებას დაუბრუნებდით, მტერ-მოყვარე რომ ვერ გაურჩევიათ...*



ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის პროფესიულ სახელმწიფო თეატრს საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი, **თეა წულუკიანი** ეწვია

მე-4 გვ

## ღია წერილი საქართველოს დეფაქტო ხელისუფლებას და ე.წ. ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებს



უახლესი ისტორიის პირუთვნელი შეფასება აუცილებელია ქართული სამართლიანი სახელმწიფოს ასაშენებლად მე-6 გვ

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას საგანგებო რწმუნებული საქართველოში - ზურაბ ცხვიტარია

## ეკოლოგია

**ალექსანდრე ხურციძე**

ჰესების მშენებლობა და მისი უკუშედეგები

მე-6 გვ



## ისტორია – დიდი გზამკვლევი



ფოთს საქართველოში აღიარებულ ქირურგთა კოჰორტა ემსახურებოდა დიდი დასტაქრის მამია ჩხეიძის ხელმძღვანელობით

**აქვე გთავაზობთ მის მოგონებებს:**

„ქირურგიული მომსახურების განვითარება ქალაქ ფოთში"

მე–5–გვ

## ვულოცავთ

### ფოთელი ჯაბა თურქია ევროპის ჩემპიონი გახდა




კვიპროსის ქალაქ ლიმასოლში, ჭიდაობა სამბოში ევროპის ჩემპიონატზე ახალგაზრდებს შორის, ფოთელმა ელიზბარ (ჯაბა) თურქიამ ოქროს მედალი მოიპოვა.

მან ფინალურ ორთაბრძოლაში რუსი მოჭიდავე აშკარა უპირატესობით 4:1 ქულით დაამარცხა და ევროპის ჩემპიონის ტიტულს დაეუფლა.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია ულოცავს ფოთელ ჩემპიონს მიღწეულ შედეგს და შემდგომ წარმატებებს უსურვებს.

## 30 წლიანი გადასახედი : ისევ დემოკრატიის მერხებთან ვსხედვართ

# ამ ქვეყანას აქვს დემოკრატიული მომავალი? რითაა ფეხმძიმე საქართველო?

## დაუსწრებელი ცხოვრება, დაუსწრებელი სწავლა

## ,,ახალგაზრდები ანცობენ" - ,,სიცოცხლე ქურდებს"- ახალი სლოგანი

### საქართველოს შინაური მტრები და მოღალატეები მოუღებს ბოლოს,იქნებ გამოვფხიზლდეთ მანამდე...



30 წლის გადასახედი კარგი გაკვეთილი უნდა იყოს და შეცდომებზე უნდა ვისწავლოთ, მაგრამ სამწუხაროდ, ჩვენი ხედვა რეალობას არის აცდენილი ბევრი პარამეტრით. ვიდრე კონკრეტულ ფაქტებს მოვიყვანდეთ, ვთქვათ ზოგადად რა ჭირს ქვეყანას - ღვთის რწმენას ნეოლიბელარიზმი და უზნეობა დაუპირისპირდა. სახელმწიფო იდეოლოგიაზე ზედმეტია ლაპარაკი. სწავლა-აღზრდის საქმე თვითდინებაზეა მიშვებული. რაც პანდემიამ საბოლოოდ შეარყია. დაუსწრებელი ცხოვრება დაუსწრებელი სწავლით გაგრძელდა და ოღონდ ხალხისთვის და არა ხელისუფლებისათვის. რომელმაც თავისუფლებისა და დემოკრატიის ყველა სიკეთე იწვნია. ისინი ერთი დღით ცხოვრობენ, ჩვენ კი პერსპექტივით გვკვებავენ - ევროპა, ნატო, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა არადა, ამ ტერიტორიიდან გაძევებული ადამიანები არავის ახსოვს უბინაოდ, უმუშევარი, საარსებო, მინიმუმის ამარად. ადამიანთა ცხოვრება არსებობისათვის ბრძოლას დაემსგავსა, როგორც ველურებში. ესაა სიღარიბით მართვა ღატაკი საზოგადოების, რომელსაც დიდი არჩევანის თავი არა აქვს - ოღონდ გადარჩეს. უმეტესობა ტოვებს ქვეყანას, ახალგაზრდობა ვერ ქმნის ოჯახებს, ვერ ქორწინდება და ეს არის დემოგრაფიული კატასტროფა - ანუ გენოციდი. ჩასაფრებული პარტიები სათავისოდ იყენებენ ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობას, ოღონდ ხელისუფლებაში მოვიდნენ. დიდად არ ადარდებთ ხალხის გასაჭირი.

30 წელია პოზიცია-ოპოზიციას შორის ვერ გამოინახა თანხმობის გადაკვეთის ადგილები, ქვეყანა მტრულ ბანაკებად არის დაყოფილი. თუ ასე გაგრძელდა არც ამომრჩეველი გვეყოლება და არც - ასარჩევი. თუმცა, დემოკრატია ყვავის, მრავალპარტიული პარლამენტიც შედგა, მთავრობა კი ერთი პარტიის ხელშია - ესეც დემოკრატიული პარადოქსი. ეკონომიკაც არანაკლებ ყვავის. ოღონდ ხალხი ვერ ხედავს, ვერ გრძნობს სიკეთეს. ასე ფიქრობენ რეალობას აცდენილი პოლიტიკოსები, რომელთაც მილიონი იშოვეს, პარლამენტიც გაივსო მილიონრებით და ბიზნესი და პოლიტიკა ერთ დიდ ტანდემად იქცა. პარტია ხელისუფლებაში მოსვლის ნაცადი საშუალებაა, თუმცა, კლასიკური გაგებით ის არასდროს ყოფილა.

პროგრამებით, იდეოლოგიით და პარტიის წევრებით.ზოგიერთი 100 კაცსაც ვერ მოუყრის თავს, ესაა ამბიცია. მხოლოდ გამათხოვრებული ხალხის იმედად არიან დარჩენილი -ეგებ ამათ გვიშველონო და ასე 30 წელია ვართ მშველელის მოლოდინში. სააკაშვილმა მოიყვანა ივანიშვილი, ეს კიდევ სააკაშვილს დაგვიბრუნებს, აკი მოანატრა ხალხს, მაგრამ ოცნება რომ სახელმწიფოს ვერ მართავს და ლიდერები ტოვებენ, არ ნიშნავს სააკაშვილის ბანდის დაბრუნებას-პოლიტიკური ენით ძალადობრივი რეჟიმის დაბრუნებას. ქვეყნის უბედურებაა არაფორმალური მმართველობა. მმართველი პარტიის ლიდერი თითქოს პილიტიკის მიღმაა. ოპოზიციური პარტიის ლიდერი სხვა ქვეყანაშია. ერთ დროს ვაშაძე ცვლიდა და ისიც ისე წავიდა პარტიელებს არც დამშვიდობებია. პარტიის ახლანდელი თავმჯდომარე კი ნიკანორ მელია სააკაშვილს უკრაინაში ეახლა ჭკუის დასარიგებლად. არადა, არც ისე ახალგაზრდაა ვერ გაიგოს ვისთან აქვს საქმე. ვისი მემკვიდრე ხდება, ჩვენ რამდენიმე წინადადებით შევახსენებთ - 7 ნოემბერი და 26 მაისი, დღესასწაული, რომელიც სასაკლაოდ აქცია. დაამცირა, გამოიყენა სასამართლო-პროკურატურა და ლამის ნახევარი საქართველო პრობაციონერი გახადა, ქვეყნის ქონებას დაეპატრონენ-ჩახოცეს ასობით ახალგაზრდები ნულოვანი ტოლერნატობით, ბიზნესის რეკეტით, ასიათასობით გამწარებული ოჯახით. ამ პარტიის მხარდამჭერი ეტყობა, რაღაც სარგრბელს ნახულობდა და ახლაც სარგებელს გამოელის და ამ დემოკრატიული ფარდის მიღმა - დგას ცრემლიანი საქართველო. ამომრჩეველი უნდა დაფიქრდეს ვის აზლევს ძალასა და უფლებას. ეს ბოროტება, რაც ქვეყანაში დაატრიალეს ,,ნაცებმა" მათი უპასუხისმგებლო არჩევანის ბრალია. ეს იყო ხელისუფლება კანონს მიღმა, რომელიც კარგა ხანს გამოადგა მტრის ხატად ,,ოცნებას", კოჰაბიტაცია ჩახუტებასაც არ მოერიდა, ცოტაც და შეიძლება ვერც გამოვატყაოთ, ისე ემგვანებიან ერთმანეთს.

პოლიტიკურ ველზე სხვადასხვა ძალებია განლაგებული, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნებიდანაა დაფინანსებული. ყველას თავისი ინტერესი აქვს. სპეკულირებენ ყველაფრით, ღმერთით, პატრიოტიზმით, სოციალური სიდუხჭირით. ვერ გაიგებ ვინ ნამდვილად წუხს და ვინ ვითომ ქვითინებს. ერთი კი ცხადზე უცხადესია - ხალხის გარეშე გამარჯვება ვერ იქნება. ხალხი კი დაიბნა, ამდენი პარტია და მოძრაობა არასოდეს არ ყოფილა. თითქოს, დემოკრატიული ანტურაჟია. მიზანიც ერთი უნდა იყოს, ერთი ხალხი და ერთი ქვეყანა, მაგრამ არცერთ ხელისუფლებას ეს არ გამოუვიდა. პარტია, ხელისუფლება და სახელმწიფო შეერწყა ერთმანეთს. ხელისუფლება უკონტროლო გახდა, არ არსებობს მექანიზმი, მისი ვადამდელი გადარჩევის, დანაშაულისათვის პასუხისგების, რამდენადაც კანონი და სამართალი მათ ხელშია. ეს დემოკრატია კია არა დემონოკრატიაა, ხალხის ძალაუფლების უზურპაცია. 'კიდევ ერთი პარადოქსის შესახებსტრასბურგი: მიხეილ სააკაშვილი საქართველოს წინააღმდეგ. არადა, მთელი საქართველო უნდა იყოს მის წინააღმდეგ.სტრასბურგში თუ ჰააგაში. ჰიტლერსაც არ მოაფიქრდებოდა ისეთი დანაშაულები, რომელიც მან ქართველი ხალხის წინაშე ჩაიდინა-ძარცვა, გენოციდი, ომის საბაბით ტერიტორიების გაჩუქება და სხვა. მოკლედ, ბევრი გაკვეთილები გვაქვს ჭკუის სასწავლებლად,ჭკუა მაინც ვერ ვისწავლეთ. ვერ შევქმენით ქვეყნის განვითარების სტრატეგია მიუხედავად გეოპოლიტიკური პრიორიტეტებისა, და არავინ იცის კიდევ რამდენჯერ მოიტეხს კისერს ამათი პოლიტიკური მერანი. ანცი ბავშვები ასატანია, მაგრამ ანცი და უნიჭო პოლიტიკოსები ანგრევენ ქვეყანას მორალურად, ფიზიკურად, ყველა პარამეტრით. ამიტომაც გვაქვს ფსევდო დემოკრატია, ვითომ არჩევნები, ვითომ პრეზიდენტი, ვითომ მთავრობა. ვითომ სულიერება, ვითომ სამშობლო. სამაგიეროდ ნაღდი, უტყუარი კორუფცია, უინტელექტობა, არაპროფესიონალიზმი, რამდენიც გინდა და სადაც გინდა. პოლიტიკური ანცობა ვახსენეთ, ის რომ საქართველოს მომავალი ახალგაზრდობა სკოლის გამოსაშვებ საღამოზე გულზე იწერს ,,სიცოცხლე ქურდებსო"- ეს ანცობა არ უნდა იყოს ბატონო ვოლსკი, ეს ცხოვრების რეალური შეფასებაა, რასაც თქვენ ვერ ხედავთ, მაგრამ მას ახალგაზრდები ხედავენ და იქნებ ამ სლოგანში იუმორიც ურევია, და იმის იმედიც გვაქვს, ქურდობა და მამაძაღლობა არ არის ქვეყნის მომავალი. ეს იციან ახალგაზრდებმა, მაგრამ ქურდები და მამაძაღლები რომ კარგად ცხოვრობენ პოლიტიკის საფარველ ქვეშ, ამასაც კარგად ხედავენ. ისიც, რომ პარტიაში მანამ არიან, სანამ თანამდებობები აქვთ, ესეც არ არის დასამალი. აბა, სადღა არიან კვირიკაშვილები, მარგველაშვილები, ბახტაძეები და სხვები. როგორც ჩანს, ყველას შერჩა მილიონები, მიწები თუ მამულები, იხეირეს დემოკრატიის კეთილდღეობით. მაგრამ სახალხო დემოკრატია რატომღაც ვერ გახდა ხალხის კეთილდღეობის საფუძველი და ასე იქნება, ვიდრე სახელმწიფო დამოკიდებბული იქნება პარტიებზე, პიროვნებებზე და არ ექნება ერთიანი მყარი ეკონომიკა. სანამდე იქნება პარადოქსი, მდიდარი ხელისუფლება და ღატაკი ხალხი, არადა, პირიქით უნდა იყოს. დიდი ვაჟას გამონათქვამი მახსენდება, ,,ბედნიერი ვარ მაშინა, როცა ვიტანჯვი სხვისთვინა". არ იქნება ურიგო ცოტას თუ გაიჭირვებენ და ხალხის ცხოვრებით იცხოვრებენ.

**მიშას მემკვიდრე**

**ბატონო ნიკანორ, მიხეილ სააკაშვილის ძალადობრივი რეჟიმის ნეოფაშისტური მოძრაობის მემკვიდრე რომ ხართ, გიფიქრიათ ამაზე? ბატონი ვაშაძე მიხვდა და გაიქცა (ერთ დროს პრეზიდენტობა რომ უნდოდა-გადავრჩით). შენ რა მოგივიდა, ან როგორც ,,სულთანს" რისთვის ეახლე, რა ჭკუა დაგარიგა - როგორ ააოხრო ქვეყანა?**

მე ასე მესმის დემოკრატია.

ქვეყანა ცვლილებების მოლოდინშია და ერთადერთი გზა სწორი არჩევანია. დემოკრატია უნდა იყოს კონტროლი, შეცვალოს უღირსი ხელისუფლება, სხვა გზა არ არის, რადგან, როგორც დიდი ჩერჩილი იტყოდა ,,დემოკრატია ყველაზე ცუდი ფორმაა, მაგრამ ყველა დანარჩენი მასზე უარესიაო".

დემოკრატიის პარადოქსები: 30 წლიანი გადსახედიდან ჩანს, რომ არასწორი პოლიტიკური არჩევანი აფერხებს ქვეყნის განვითარებას. ამომრჩრეველი თავისივე არჩევანის მსხვერპლი გახდა, სახელმწიფომ დაკარგა ადამიანი და დემოკრატიის 30წლის იუბილეზე მივიღეთ მდიდარი ხელისუფლება და ღარიბი მოსახლეობა.ხელისუფლება ყველა დროს კარგად გრძნობდა თავს, იყო ომი თუ პანდემია. როგორც მაშველი რგოლი იყო , როცა ხალხი უარესის მოლოდინში ხმას არ იღებდა. ყველა ხელისუფლება ხალხის გაჭირვებაზე იდგა,იყო დაპირებები და მოლოდინი, იმედგაცრუება და პესიმიზმი.ხალხი ლამისაა საარჩევნო ბიულეტენად იქცეს. თუ საუკუნეების წინათ, მათთვის მთავარი პური და სანახაობა იყო, ჩვენთან პური და არჩევნებია. მალე ისიც არ იქნება, ალბათ, ამათ ხალხი ქვების გროვა ჰგონიათ, როგორც უნდათ ისე გადაალაგებენ, ისიც გაუგებარია ვინ, რომელი ქვეყნის დავალებას ასრულებს. ქვეყანას უცხოელი დიპლომატები მართავენ, გვასწავლიან როგორ შევაღწიოთ ნატოში, ამოდენა ორგანიზაციას, რუსეთის აგრესიისგან ვერ დაუცავს თავი, ვერაფერს უბედავს, გარდა სანქციებისა. ხომ შეიძლებოდა ასეთი მონსტრისთვის აგვერიდებინა თავი, მაგრამ ავანტურისტმა სააკაშვილმა ომი წამოიწყო, ამერიკის იმედად, რომლის გემები წყლით და პამპერსებით მოგვადგა ფოთის აკვატორიაში. ათასობით ლტოლვილი ქვეყნიდანაც გავიდა.მათ ღარიბი მოსახლეობის დიდი ნაწილი მიყვა და ასე მოედო ევროპას დევნილი ქართველობა,მოსამსახურეებად,ასე ნადგურდება ქართული გენი, კულტურა და ტრადიციები. ჩვენ კი სულ საარჩევნო ფაციფუცში ვართ, ხან დიდ მთავრობას ვირჩევთ,ხან- პატარას, თუმცა, ჩვენი თვითმმართველობა სულ არ გავს დიდი ნიკოლაძის მმართველობას, წავიდა გენიოსების დრო, სადღა არიან ნიკოლაძეები,მეუნარგიები,ინგოროყვები, ამიტომაც გაღმა გასვლისა მსურველთა, უკუღმა მიგვყავს ბორანი, კვაჭი კვაჭანტირაძეებით გაივსო პარლამენტი. ზვიადის დროიდან მოდიან არაპროფესიონალები, თუმცა, იმათ ქვეყანა უყვარდათ,ამათი მიზანი ხელისუფლებაა,რომელიც დაცილდა სახელმწიფოს.ადამიანებმა დაკარგეს იმედი, რომ ვიღაც ზრუნავს მათზე და გაჭირვების ჟამს გვერდით დაუდგება. ნეოლიბერალური ძალები არყევენ ეკლესიის საფუძველს და ეს სულიერი აისიც არც ისე შორსაა, როგორც ეს ევროპას მოუვიდა,თუმცა, იმათ ეკონომიკა მაინც აქვთ. ბოლოდროს ეკლესიაშიც შეაღწიეს უკეთურებმა, რომელთაც დიდი ბიზნესი აქვთ და კერძო ეკლესიებსაც აშენებენ.აქეთ კი თავზე გვენგრევა საქართველოს სულიერების სიმბოლო - გელათი, დავითს,რომ მეორე იერუსალიმად უნდოდა ექცია.თუმცა, გირჩის ლიდერებმა იოლი გზა გამონახეს, გაბერონ დიდი ბუშტი, მიახატონ ტაძარი და ილოცონ. ალბათ ამაზე მეტი დიდი სულიერი დაცემა წარმოუდგენელია და ეს ადამიანები - პარლამენტში შევიყვანეთ.ქვეყნის ხელისუფლებაში უნდა მოვიდნენ ეროვნული ძალები, რათა ოცნებადაკარგულ ხალხს მიეცეს გადარჩენის იმედი. რაც შეეხება თავად პარტია ,,ოცნებას," მან პასუხი უნდა აგოს, ,,ნაცებთან" კოჰაბიტაციისა და პოლიტიკური შემობრუნებისათვის, აღორძინებისათვის. ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობისათვის, რაც არ ნიშნავს ,,ნაცების" პოლიტიკურ განახლებას, რომელსაც არ დაუშვებს ქართველი ხალხი. გვარამიაგრიგოლიას ტელევოიზიებში ირჩევა სახელმწიფო საქმეები,აგინებენ ოცნებას და გვერდში უდგანან ნეო-ფაშისტებს-დანაშაულებრივ რეჟიმს,რომელთა ხალხის ნაძარცვი ფულით არსებობენ,ყოველდღე ეკრანს უთმობენ სააკაშვილს და მსჯელობენ ქვეყნის განვითარების გეგმებზე და ამას ჰქვია დამოუკიდებელი მედია? არაერთხელ გვითქვამს ქვეყანაში,პოლიტიკური კრიზისი კი არა,რწმენის,სახელმწიფოებრივი გაგების და ურთიერთობის კრიზისია. მტრულ ბანაკება არიან დაყოფილი და აქთ-იქიდან ისმის ქადილი,,ჩვენ გავიმარჯვებთ,,ოცნება თავისი ვარაუდით43პროცენტზე გადის,მაგრამ პარტიის გამარჯვება ხალხის გამარჯვების იდენტური უნდა იყოს,შედეგზე ორიენტირებული-ქვეყნის და ხალხის კეთილდღეობა,მოვლენების რეალური აღქმა,რომ საერთო კეთილდღეობისაგან ძალიან შორსა ვართ.30წელია ხალხი მის მოლოდინშია. ქვეყანაში არსებულ სოციალურ უთანასწორობაზე, საზოგადოებრი ურთიერთობის დაძაბვაზე ბევრი რამ მიანიშნებს და ამ ჭრილში უნდა განვიხილოთ დმანისის ფაქტორი,ეს არის წლებით დაგროვილი პრობლემების შეჯახება და არა აყალმაყალი 2კათხა ლუდისათვის.ეს იყო სასტიკი ბრძოლა თანასოფლელებს ერთი მიწის შვილებს შორის და არა ანცობა ახალგაზრდებისა, როგორც ბნ-ი ვოლსკი იტყვის ხოლმე. მოკლედ, დმანისში დიდი კრწანისი მოაწყვეს ერეკლე მეორე ინატრებდა ასეთ შემართებას, ამ ძალების ნახევარს.იმედია, ამ მოვლენებისგან დასკვნები გაკეთდება და დროულად გატარდება ღონისძიებები,სოციალური აფეთქების თავიდან ასაცილებლად.ადგილობრივ არჩევნებს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება,სადაც სათავეს იღებს, საარჩევნო პროცედურების დარღვევა. საჯარო სამსახურები მმართველი პარტიების დანამატად იქცა, როგორც საარჩევნო რესურსი.რაც აფერხებს დემოკრატიის და უპირველესად თვითმმართველობის განვითარებას. ადგილებზე უკეთ ხედავენ თავიანთ პრობლემებს და უნდა მოიძებნოს რეგიონსა და სახელმწიფოს შირის გადაკვეთის წერტილები, საკანონმდებლო ქონებრივი თვსალსაზრისით, როგორც იყო ეს დიდი ნიკო ნიკოლაძის დროს.რაც შეეხება ადგილზე პარტიის ინტერესებს,არ უნდა დაავიწყდეთ, რომ ქალაქი ერთია.

ზ. აბრალავა

## ქალაქის დღე ასე აღინიშნა

ფოთი-ფაზისი ლეგენდების ქალაქი, კულტურისა და განათლების მსოფლიოში აღიარებული უძველესი კერა.

# „თუ ქალაქს ღმერთი არ იცავს,ამაოდ ფხიზლობენ გუშაგნი"
# „ჯერ კიდევ როდის ფოთოგბდა ფოთი, ჯერ კიდევ როდის გვიხდიდნენ ბოდიშს"
# მათ ფოთი უყვარდათ და ღირსეული კვალიც დატოვეს.



კვირაცხოვლობის დღესასწაულზე, ფოთის საკათედრო ტაძრის კურთხევის დღეს, ტრადიციის თანახმად ფოთში მეოთხე წელია ქალაქის დღე აღინიშნება.

კვირაცხოვლობის საზეიმო წირვა ფოთის საკათედრო ტაძარში ფოთისა და ხობის მიტროპოლიტმა **მეუფე გრიგოლმა** აღავლინა.

ქალაქ ფოთის მერმა **გოჩა კურდღელიამ**, ახალი კორონავირუსის წინააღმდეგ ბრძოლაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდება მიანიჭა საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ფოთის ცენტრის მენეჯერს **კესო გელენიძესა** და ა(ა)იპ თვითმმართველი ქალაქ ფოთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის მოადგილეს ექიმ-ეპიდემიოლოგს **ზინაიდა გაგუას**.

ფოთის განვითარების საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის, პრემია „ფაზისი" გადაეცა ფოთისა და ხობის მიტროპოლიტს, **მეუფე გრიგოლს. პრემია გერონტი (ჯუკა) კუხალეიშვილის ფონდის** მიერ წელს დაწესდა და იგი ქალაქის აღმშენებლობის საქმეში გაწეული საქმიანობისთვის გადაეცემათ. მიტროპოლიტი გრიგოლი პრემიის პირველი ნომინანტია.

სიგელების გადაცემა საკათედრო ტაძრის სამრევლო დარბაზში შედგა.



სურათზე: ზინაიდა გაგუა და კესო გელენიძე

## არ დავიწყება მოყვრისა...

# ფოთი პატივს მიაგებს ადამიანებს, რომლებმაც თავისი კვალი დატოვეს ქალაქის აღმშენებლობის საქმეში



ნიკო ნიკოლაძე



ნინა ჟვანია



კონსტანტინე რეკვავა



გიორგი ვატაევი



ნინო ლაკია



მიხა სესკურია



კაკო ცხადაია



შოთა რუხაძე



გრიგოლ ხავთასი



გრიგოლ დარჯანია



ვალერიან გოგინავა



შოთა მეგრელიშვილი



ძაკუ აბრალავა

## ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის პროფესიულ სახელმწიფო თეატრს საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი, **თეა წულუკიანი** ეწვია



**თეა წულუკიანი** ქალაქ ფოთის მერთან **გოჩა კურდღელიასთან** და თეატრის მესვეურებთან ერთად, შენობა დაათვალიერა და შესრულებულ სარემონტო სამუშაოებს გაეცნო. ადგილზე შეხვდა სამშენებლო კომპანიის წარმომადგენლებსა და პროექტანტებს.

ქალაქის მერის განცხადებით, მზადდება ფოთის თეატრის შენობის ხარვეზების აღმოფხვრის პროექტი.

თეატრის რეაბილიტაციის მესამე ეტაპის პროექტირებაზე ტენდერში გამარჯვებული კომპანია მუშაობს.

## ფოთში ფაშიზმზე გამარჯვების 76-ე წლისთავი აღინიშნა.



ქალაქ ფოთის მერმა **გოჩა კურდღელიამ**, საკრებულოს თავმჯდომარე **ბექა ვაჭარაძემ**, მერის მოადგილეებთან ერთად, დიდების მემორიალი გვირგვინითა და ყვავილებით შეამკეს.

ფოთის საკათედრო ტაძარში, მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა სულის მოსახსენებელი პანაშვიდი ფოთისა და ხობის ეპარქიის მიტროპოლიტმა, მეუფე გრიგოლმა აღავლინა.

მეორე მსოფლიო ომის დროს, საქართველოდან 700 ათასი მეომარი წავიდა ფრონტზე. ამათგან 300 ათასმა, ბრძოლის ველზე დალია სული.

მათ შორის იყვნენ ჩვენი ქალაქის მკვიდრნი. 11 ათასი ფოთელიდან, 2 ათასი ჯარისკაცი შინ არ დაბრუნებულა.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ინიციატივით, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებთან გათანაბრებულ 22 პირს ფულადი წახალისება 300 ლარის ოდენობით გადაეცა.

## ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანების სამკითხველო დარბაზს ქართველი კლასიკოსი მწერლის გურამ დოჩანაშვილის სახელი მიენიჭა




გამოჩენილი ქართველი მწერალი **გურამ დოჩანაშვილი** ლიტერატურული შემოქმედებისათვის დაჯილდოებული იყო ვაჟა ფშაველას სახელობის პრემიით, ხოლო ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის მწერალს ლიტერატურული პრემია „საბა" გადაეცა.

გურამ დოჩანაშვილს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდება 2019 წელს მიენიჭა.

საზეიმო ცერემონიალს ქალაქ ფოთის მერი **გოჩა კურდღელია**, საკრებულოს თავმჯდომარე **ბექა ვაჭარაძე**, ფოთის და ხობის მიტროპოლიტი **გრიგოლი დაესწრენენ**.

პატივი მიაგეს გურამ დოჩანაშვილის ხსოვნას, ხოლო ამონარიდები მწერლის შემოქმედებიდან საბიბლიოთეკო გაერთიანებასთან არსებული ლიტერატურული სალონის „გულის სამელნე" მოსწავლეებმა წაიკითხეს.

## ფოთში კოვიდის საწინააღმდეგო ვაქცინაცია დაიწყო



5 მაისს ფოთში ვაქცინაციის პროცესი დაიწყო. ჩინური პრეპარატით „სინოფარმით" აცრები წარმატებით მიმდინარეობს.

„სინოფარმის" ვაქცინით აიცრა ქალაქ ფოთის მერი გოჩა კურდღელია. მან თანაქალაქელებს ვაქცინაციის პროცესში ჩართვისკენ მოუწოდა.



ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე მამუკა პაპასკირი კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინით- "სინოფარმი" ფოთის პოლიკლინიკაში (სს „ევექსის კლინიკები") აიცრა.

„ყველას მოვუწოდებ ჩაერთოს ვაქცინაციის პროცესში, ვინაიდან ვირუსთან საბრძოლველად ყველაზე ეფექტური საშუალება ვაქცინაა. გავუფრთხილდეთ ერთმანეთს"-აღნიშნა მერის მოადგილემ.

## ,,უჩვეულო რეჟიმში ირეკება მეთორმეტე კლასელთათვის სკოლის ბოლო ზარი.




,,უჩვეულო რეჟიმში ირეკება მეთორმეტე კლასელთათვის სკოლის ბოლო ზარი. ქალაქის სკოლების 400- მდე კურსდამთავრებული გამოეთხოვება დღეს სკოლის პედაგოგებს, სკოლის მერხს და სწავლისა და შემეცნების ახალ ეტაპს დაიწყებს.

განათლება არის მთავარი იარაღი დღევანდელ რეალობაში გზის გასაკვალად, ახალი გამოწვევების საპასუხოდ, ახალი, უკეთესი მომავალი დღისა და ქვეყნის მშენებლობისთვის.

ვულოცავ სკოლის თითოეულ კურსდამთავრებულს დღევანდელ დღეს. ვუსურვებ ფეხბედნიერი ყოფილიყოს მათი შემობიჯება ცხოვრების რთულ, ნამდვილ, ახალ და მათთვის ჯერ შეუცნობ სამყაროში. წარმატებული ყოფილიყოს თითოეული ნაბიჯი პირადი და ქვეყნის მომავლის მშენებლობის საქმეში.

განათლებული ახალგაზრდობა არის ჩვენი ქვეყნის იმედი!"

ქალაქ ფოთის მერი გოჩა კურდღელია

## საქართველოს კომპიუტერული სპორტის ფედერაციასა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.



საქართველოში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის, პროპაგანდის და დამკვიდრების ხელშეწყობის, სამეგრელო ზემო-სვანეთში საგანმანათლებლო და სპორტული საქმიანობის განვითარებაზე მიმართული ერთობლივი პროგრამების დაგეგმვის, განხორციელების და ამ სფეროში დაინტერესებული ნებისმიერი პირისათვის შესაბამისი კონსულტაციის ხელმისაწვდომობის მიზნით, საქართველოს კომპიუტერული სპორტის ფედერაციასა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია უზრუნველყოფს საქართველოს კომპიუტერული სპორტის ფედერაცის მიერ ორგანიზებულ სპორტული, კულტურული, გასართობი, საგანმანათლებლო პროექტების განხორციელებას.

კომპიუტერული სპორტის ფედერაციის წარმომადგენლებს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე მამუკა პაპასკირი შეხვდა. შეხვედრაზე მომავალი თანამშრომლობის გეგმები დაისახა.

## მიმდინარეობს ჭავჭავაძის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები



გზების დეპარტამენტი, მთავრობის განკარგულებით, ქალაქ ფოთში ადგილობრივი მნიშვნელობის ქუჩების რეაბილიტაციას ახორციელებს

ამ დროისთვის, აქტიურად მიმდინარეობს ჭავჭავაძის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები. კერძოდ, სავალი ნაწილის ზედა ფენის, ეზოებში შესასვლელების და ტროტუარების მოწყობა

პროექტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება და მისი ღირებულება 2.9 მლნ. ლარამდეა

აღნიშნული ქუჩის რეაბილიტაცია მიმდინარე წლის ზაფხულში დასრულდება

## ქალაქ ფოთში, მდინარე რიონზე გადასასვლელი საავტომობილო ხიდისა და მისასვლელი გზების მშენებლობისთვის საერთაშორისო ტენდერი გამოცხადდა



მდინარე რიონზე აშენდება ახალი, 8 მალიანი, 436 მეტრის სიგრძის საავტომობილო ხიდი. ხიდთან ერთად აშენდება მისასვლელი გზებიც და ხიდისა და მისასვლელი გზების სიგრძე ჯამში 2 კმ-მდე იქნება ამჟამად, არსებული გზა ჰიდროკვანძზე გადის, რომლის ტექნიკური პარამეტრები ვერ უზრუნველყოფს ავტოტრანსპორტის შეუფერხებელ და უსაფრთხო გადაადგილებას. ახალი ხიდის მშენებლობით მოგვარდება არსებული პრობლემები და ფოთის მიმართულებით, მაღალი ინტენსივობის საერთაშორისო მნიშვნელობის გზაზე, შესაძლებელი გახდება უსაფრთხო მგზავრობა და შეუფერხებელი სატრანზიტო მიმოსვლა.

ახალი ხიდის მშენებლობა სამუშაოების დაწყებიდან 2 წელიწადში დასრულდება

ფოთის ხიდი 60 - 70 ჩქაროსნული ავტომაგისტრალის შემადგენელი ნაწილია. ავტომაგისტრალი უმოკლესი დამაკავშირებელი გზაა ევროპისა და აზიის ქვეყნებს შორის, რომელიც მისი მდებარეობის გათვალისწინებით მნიშვნელოვანი სატრანსპორტო რგოლია შავ ზღვას, კასპიის ზღვასა და ცენტრალურ აზიას შორის

ფოთის ხიდის მშენებლობით დაინტერესებული კომპანიებისთვის სატენდერო წინადადებების წარდგენის ვადა 2021 წლის 6 ივლისის 16:00 სთ-მდე აქვთ განსაზღვრული

იხილეთ ვრცლად: https://bit.ly/3wKGBHl

## ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიამ ასენიზაციის მანქანა შეისყიდა.



ფოთში ინფრასტრუქტურული და ყოფითი პრობლემების მოგვარების, სერვისების გაუმჯობესების მიზნით, ფოთის მუნიციპალიტეტის მერია ყოველწლიურად ახორციელებს სხვადასხვა ავტოტექნიკის შეძენას.

ამჯერად ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიამ ასენიზაციის მანქანა შეისყიდა. ტენდერში გამარჯვებული კომპანია მის ჩამოყვანას ივლისის შუა რიცხვებში უზრუნველყოფს. ხელშეკრულების ღირებულება 135 346 ლარს შეადგენს.

უკვე გამოცხადებულია ტენდერი ქუჩის სარწყავი მანქანის შესყიდვის მიზნით. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 137 000 ლარს (დღგ-ს გარეშე).

გასულ წელს მერიამ ასევე შეიძინა 2 თვითმცლელი მანქანა, რაც საგრძნობლად აუმჯობესებს შესაბამისი სამსახურების მუშაობის პირობებსა და ხარისხს.

მიმდინარე წელს, 10 ერთეული ავტობუსით განახლდა ავტოპარკი. ფოთელებს უკვე რამდენიმე თვეა EURO 5-ის სტანდარტის ავტობუსები ემსახურება.

## ისტორია – დიდი გზამკვლევი

# ფოთს საქართველოში აღიარებულ ქირურგთა კოჰორტა ემსახურებოდა დიდი დასტაქრის მამია ჩხეიძის ხელმძღვანელობით

### აქვე გთავაზობთ მის მოგონებებს: „ქირურგიული მომსახურების განვითარება ქალაქ ფოთში"



*ქალაქის ცნობილმა ექიმ-გინეკოლოგმა, ქალბატონმა **მარინა ხოფერიამ**, როგორც ყოველთვის, ახლაც მოგვაწოდა საინტერესო მასალები ქალაქის სამედიცინო ცხოვრებიდან. ეს გახლავთ, ბატონ **მამია ჩხეიძის** მოგონებები, რომლის პირველ ნაწილს აქვე ვბეჭდავთ.*

დასაწყისი წინა ნომერში

„...ექიმებთან ერთად კმაყოფილების გრძნობით უნდა იქნას მოხსენებული, საოპერაციო და - მელანია ერასტოს ასული მეუნარგია, რომელიც კანონიერად ითვლება პირველ საოპერაციო დად ქ. ფოთში. მან ქირურგიული განყოფილების დაარსების დღიდან ე. ი. 1921 წლიდან, როგორც ღირსეულმა თანაშემწემ დიდი დახმარება გაუწია ქალაქის ქირურგებს წარმატებისათვის ბრძოლის განვლილ გზაზე. მეუნარგიამ დაამთავრა თბილისის საბებიო სკოლა. ნაყოფიერი შრომისათვის 1945 წელს დაჯილდოებულ იქნა ჯანმრთელობის დაცვის წარჩინების ნიშნით.

მეუნარგიას შემდეგ ქირურგიულ განყოფილებაში მრავალი საოპერაციო დები იყო მომზადებული, რომელთა შორის კარგი მუშაობით გამოირჩეოდნენ: თუნთია მარგო, ნოდია ტიში, ჩაჩიბაია ნორა, ჩხარტიშვილი თინა და ფაცია მზია. ქირურგიული განყოფილების დიასახლისებსა და უფროს ექთნებს და საოპერაციო სანიტრებს შორის, რომლებიც კარგად უძღვებოდნენ თავიანთ საქმეს და ხელს უწყობდნენ ქირურგიული ავადმყოფების მკურნალობას, აღსანიშნავია უფროსი ექთნები; ნ. მასხულია, გასვიანი, ზ. მგელაძე, ზ. ანჯაფარიძე დიასახლისი ბუხმინდური, პასანიტრები მარუსია ლაზნიკი და გამზარდია ლუნა.

ქირურგიაში ინტენსიურ-პრაქტიკულ მუშაობასთან პარალელურად 1960 წელს ჩვენს მიერ შესრულებული იყო საკანდიდატო შრომა პერიდალალური ანესთეზიის საკითხზე, რომელიც უკანასკნელ ხანებში ფართო გამოხმაურებას პოულობს როგორც ჩვენში ისე უცხოეთში.

განყოფილების მუშაობის მასალების ანალიზი საინტერესო შემთხვევები ხშირად ქვეყნდება სტატიების სახით ქირურგიის საკავშირო ჟურნალებში, მოგვყავს ზოგი მათ შორის: კუჭ-ნაწლავის პრევმატოზი, რეტრორექტალური გლიკომა შეცდომით მსხვილი ნაწლავის ინოპერავილურ კიბოდ დიაგნოსტირებული, შუაყრის ლიპომა, კუჭის ფლეიმონა, ნაღვლოვანი პერიტონიტი, სანაღვლე გზების პერფორაციის გარეშე, ფილტვის კონტრალატერალური ატელაქტაზი, გულმკერდის ჭრილობის დროს, ნუშისებური ჯირკვლის ქვა, ცოლინგერ-ედისონის სინდრომის შემთხვევა, ღვიძლის მარჯვენა წილის რეზექცია, ნაწლავის გრძელი რეზინის მილით დეკომპრესიის უპირატესობა, ფილტვის არტერიის გადაკვანძა, პანკრეასის იზოლირებული გაგლეჯვა და სხვა.

1975 წლიდან ქალაქში დაარსდა ქირურგთა სამეცნიერო საზოგადოება, რომელიც, რეგულარულად იწვევს სხდომებს და ნაყოფიერ მუშაობას ეწევა.

ომის და მის მომდევნო წლებში ფოთში №171 სამხედრო საზღვაო ჰოსპიტალში, ჩემი კონსულტანტად მუშაობა განაპირობა ჩვენი და ჰოსპიტლის ქირურგებს შორის მეგობრული თანამშრომლობა. ჰოსპიტალში მუშაობდა ბევრი შესანიშნავი კოლეგა, რომლებიც თავდადებული და პატიოსანი შრომით სიმპატიიას იმსახურებდნენ, მათ შორის ჩვენ პირველი გავიცანით მედ. მ.ც.დოქტორი, პროფ. ჯავეტ ახუნდოვი. ახუნდოვი ბაქოელი იყო. შესანიშნავ გარეგნობასთან ერთად ის ძვირფასი გულის ადამიანი და მეგობარი იყო. ჯავეტ ახუნდოვი სპეციალობით მეანგინეკოლოგი იყო და სამხედროების ოჯახის ქალებს მკურნალობდა, მაგრამ ჩემი მოწვევით ის ხშირად დახმარებას უწევდა ჩვენს განყოფილებაში ქალაქის ავადმყოფებს. ახუნდოვი შესანიშნავი ოპერატორი იყო, ის ვირტუოზულად ფლობდა ბერთეიმის ოპერაციასაც. მასთან მუშაობამ ჩვენ ბევრი რამე გვასწავლა მეან-გინეკოლოგიაში.

პირველი ქირურგი, რომლის მიწვევითაც მე პირველად მომიხდა ჰოსპიტალში რთულ სიტუაციაში კონსულტანტად მისვლა იყო სამხედრო სამედიცინო სამსახურის მაიორი, ქირურგი გ. გოცაძე. გოცაძე ჩვენთან შედარებით უფროსი თაობის წარმომადგენელი იყო, ის შესანიშნავი ადამიანი და ქირურგი იყო.

შემდეგ მუშაობა მომიწია ლ. რაქვიაშვილთან, რობინსკთან და სხვებთან, რომლებიც კვალიფიციური ქირურგები და კარგი მოქალაქეები იყვნენ.

მაღალი ოპერაციული ტექნიკით გამოირჩეოდა სამხედრო სამედიცინო სამსახურის პოდპოლკოვნიკი -კონსულტანტი ი.ი. ჟიტნიუკი. მასთან ერთად ბევრი უძილო ღამეები გაგვითენებია ავადმყოფის საწოლთან და საოპერაციოში. ამჟამად ჟიტნიკი კი კიროვის სახელობის სამხედრო სამედიცინო აკადემიის პროფესორია ლენინგრადში. ჰოსპიტალში კონსულტანტად მუშაობდა მებრძოლების მკურნალობაში პრაქტიკული დახმარებისათვის 1956 წელს სამხედრო საზღვაო ფლოტის დღეს და №171 სამხედრო ჰოსპიტალის დაარსების 15 წლისთავზე გენერალ-ლეიტენანტ ბისტრიკოვის მიერ ბრძანებით გამოცხადებული მაქვს მადლობა შავი ზღვის ფლოტის სამხედრო საბჭოს სახელით.

ფოთელ ქირურგებს არ შეუძლიათ სიამყის გრძნობით არ მოიგონონ ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი ქირურგები, რომლებმაც დაწყებითი განათლება ფოთის გიმნაზიაში მიიღეს; ესენი არიან: საკავშირო სამედიცინო აკადემიის ნამდვილი წევრი ნ.ვ. ანთელავა.

საქართველოს სამედიცინო აკადემიის ნამდვილი წევრი ე.კ. ფიფია და მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ფრანკენბერგი.

საქართველოს გასაბჭოების 55 წლისთავს ფოთის ქირურგები შეხვდა იმ რწმენით, რომ 55 წლის მანძილზე დამკვიდრებული ფოთის ქირურგიის კარგი ტრადიციები, რომლებიც თაობიდან თაობამდე აღმავალი გზით ვითარდებოდა და მხარში ედგა საქართველოს მოწინავე ქირურგიას. მომავალშიც სათანადო მოწოდების სიმაღლეზე იქნება.

ფოთის ქალაქის წამყვანი<br>
ქირურგი მედიც. მეც.<br>
კანდიდატი მ.ი. ჩხეიძე<br>
1976 წელი.

---

# მედია დემოკრატიის ციტადელია, ნუ მოშლით ამათ იციან პრესის ფასი

მედია დემოკრატიის უპირველესი ატრიბუტია, თუმცა რეგიონებში ზოგან იგი არ ფუნქციონირებს, ბევრგან კი შორს არიან დემოკრატიისგან და სამართლიანობის პრინციპებისგან.

სამწუხაროდ, ცოტაა სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პრესა-ტელევიზია. ბევრი ასრულებს კლანების დაკვეთას და ქვეყანას წარსულისკენ ექაჩება. მათი უმეტესობა ფინანსდება სხვადასხვა საეჭვო წყაროებიდან-როგორც ქვეყნის შიგნით, ისე-ქვეყნის ფარგლებს გარედან და ასეთ დროს სერიოზული პრესა მივიწყებულია, მაშინ, როცა სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება პარტიები, სხვადასხვა ორგანიზაციები, რა დააშავა მედიამ? ეს საკითხი უნდა განიხილოს პარლამენტმა. ქვეყანაში არის პრეცედენტი - საზოგადოებრივი სატელევიზიო არხი ფინანსდება ბიუჯეტიდან საკმაოდ სოლიდური თანხით. რატომ არ შეიძლება ადგილებზე, რეგიონებში იყოს საზოგადოებრივი პრესა-ტელევიზია ხალხის ბიუჯეტიდან დაფინანსებული, რომელიც ანგარიშვალდებული იქნება ამავე ხალხის წინაშე და ხელს შეუწყობს დემოკრატიის განვითარებას, ადამიანების ერთი მიზნისკენ გაერთიანებას და არა დაცალკევებასა და უაზრო კინკლაობას. აღსანიშნავია, რომ რეგიონებში თითქმის ყველა პრესა-ტელევიზიას ეხმარებიან სხვადასხვა ფორმით. „ნაციონალების" ხელისუფლებაში მოსვლამდე მერია-საკრებულოს ჰქონდა საკუთარი ორგანო გაზეთ „ფოთის უწყებანი"-ს სახით, რომელიც წინა ხელისუფლებასთან, უფრო სწორად რეჟიმთან დაპირისპირებას შეეწირა. შემდეგ მის ბაზაზე ჩამოყალიბდა გაზეთი „ნიკოლაძის გზით", რომელიც ასევე ებრძოდა. „ნაცების" რეჟიმს და გარკვეული წვლილი მიუძღვის „ოცნების" გამარჯვებაში. დღეს მას უჭირს ფინანსურად, რადგან მწირია გასაღების ბაზარი, ხოლო ხელმომწერი ორგანიზაციები, დაწესებულებები შემცირდა, უმეტესობა გაუქმდა (ქარხნები, ფაბრიკები, ფირმები და ა. შ.). აღსანიშნავია, რომ გაზეთი არის მატიანე, ხიდი ხალხსა და ხელისუფლებასშორის, კომუნიკაციის საუკეთესო საშუალება და მას ვერ შეცვლის ინტერნეტ –გაზეთი.

მოქალაქეები უკეთ გაეცნობიან იმას, თუ რა საქმიანობას ეწევა მერია-საკრებულო, რა ხდება პოლიტიკაში, ეკონომიკაში, კულტურაში, მედიცინაში, სპორტში და ა. შ. გაზეთს „ნიკოლაძის გზით" ამ მიმართულებით საქმიანობის დიდი გამოცდილება აქვს. მისი მთავარი ამოცანაა ყველას-პარტიების, ორგანიზაციების, სამთავრობოების თუ არასამთავრობოების გაერთიანება საერთო წარმატებისათვის ბრძოლაში და არა დაპირისპირება, რამეთუ ქალაქი ერთია თავისი სატკივარითა და საწუხარით.

ასევე გაზეთის საქმიანობის მთავარი ორიენტირია დემოკრატიის განვითარება. რედაქცია დიდ ადგილს უთმოუბს ქალაქის განვითარების ნიკო ნიკოლაძისეულ კონცეფციას- ქალაქისა და ნავსადგურის ინტეგრაციის თაობაზე, ერთერთი მთავარი მიმართულებაა სულიერება –ქრისტიანული რწმენა, ეროვნული სახელმწიფოებრივი პოზიცია, ჰუმანიზმი, ტრადიციები, ადამიანის თავისუფლება და ა.შ.

დღეს, როდესაც ხელისუფლებაში მოვიდნენ ახალი ძალები, როცა ხელისუფლებისა და სახელმწიფოს ინტერესები უახლოვდება ერთმანეთს, ხალხთან კომუნიკაციას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. სააკაშვილის ხელისუფლება იყო ანტისახელმწიფოებრივი მოვლენა. სამწუხაროდ, იგი დღესაც ფლობს მედია საშუალებებს. ჯიბის პრესა-ტელევიზიების სახით, რომლებიც აგრძელებენ ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას. ასსეთ დროს სერიოზულ, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე მედიას სჭირდება მხარდაჭერა. გაზეთის რეგულარულად გამოსვლის შემთხვევაში მერია-საკრებულოს ექნება საშუალება მოსახლეობამდე მიიტანოს მისი გადაწყვეტილებები, დადგენილებები. ვრცლად გააშუქოს ხელისუფლების მოღვაწეობა ყველა მიმართულებით, ანგარიში ჩააბაროს ამომრჩეველს, გაითვალისწინოს მისი მოსაზრებები. აქტიურად ჩართოს იგი ქალაქის ბიუჯეტის შედგენა-განხილვაში, გვერდში დაიყენოს მოსახლეობა ქალაქის უმნიშვნელოვანესი პრობლემების გადაწყვეტაში.

რედაქციაში არიან ამ საქმის პროფესიონალები და შეუძლიათ ღირსეულად წარმოაჩინოს ქალაქი, გაზეთი ხომ მისი სახეა, მისი თანამებრძოლი, რათა ქალაქი გახდეს უფრო ლამაზი და მიმზიდველი.

ვფიქრობ, მერია –საკრებულო შესაძლებლობის ფარგლებში მხარს დაგვიჭერს, რათა ერთობლივად ვიღვაწოთ უკეთესი მომავლისთვის, ფოთის ევროპული ტიპის ქალაქად გადაქცევისათვის.

მიუხედავად ფინანსური და ტექნიკური პრობლემისა, გაზეთი გარკვეული პერიოდულობით გამოდის, რაშიც თავისი წვლილი შეიტანეს და რისთვისაც უდიდეს მადლობას ვუხდით შპს „ვნეშ-




ტრანსის" გენერალურ დირექტორს **კაკო ქღენტს**, კომპანია „ბიენდპის" გენერალურ დირექტორს **ჯუმბერ ცომაიას**; შპს „კავტრექს ფოთის" გენერალურ დირექტორს **რობერტ გვაზავას**, შპს „გზამშენ ი-13"-ის გენერალურ დირექტორს **ირაიდა ფაციას**; კომპანია „აიას" გენერალურ დირექტორს **სოსო ნულაიას**, შპს „ტოტალ+"-ის უფროსს **ნუგზარ ბარამიას**, შპს „აისბერგის" დირექტორს **ირაკლი ცეკვაშვილს**; შპს „სერვის+"-ის დირექტორს **სამსონ კუტალიას**, საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორს **ნუნუ ჭელიძეს**, შპს „მობინადრე 2000"-ის დირექტორს **ალფონზ მეტაქსას** და სხვებს, რომლებმაც იციან პრესის ფასი, თუმცა ბევრი ვერ აცნობიერებს ამას და არც არასდროს დაგვხმარებია.

ვულოცავთ ფოელებს და გაზეთის მხარდამჭერებს 26 მაისს, დამოუკიდებლობის დღეს.

სიხარულსა და ბედნიერებას ვუსურვებთ ყველას.

გაზეთ „ნიკოლაძის გზით"<br>
რედაქცია

# ღია წერილი

## საქართველოს დეფაქტო ხელისუფლებას და ე.წ. ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებს

## უახლესი ისტორიის პირუთვნელი შეფასება აუცილებელია ქართული სამართლიანი სახელმწიფოს ასაშენებლად



1990 წლის 28 ოქტომბერს პოლიტიკური პარტიების კოლეგიალური პარიტეტის პრინციპზე შექმნილი ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ საქართველოში ჩატარებულმა საყოველთაო, მრავალპარტიულმა, დემოკრატიულმა არჩევნებმა დაამკვიდრეს თავისუფლებისა და დემოკრატიის ღირებულებები. ჩვენს ქვეყანაში არასაბჭოური, არსებული კონსტიტუციის რეგლამენტაციის გარეშე, დემოკრატიული არჩევნების ჩატარებით საფუძველი ჩაეყარა 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმს, სადაც საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის 97%- მა ხმა მისცა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას,1991 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე, რეფერენდუმის შედეგი გახდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების სამართლებრივი და ზნეობრივი საფუძველი, რითაც მთელ მსოფლიოს ეცნობა ქართველი ერისა და მთლიანად საქართველოს მოსახლეობის ნება. ამ იურიდიული აქტის საფუძველზე 1991 წლის 27 აგვისტოდან დღემდე საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა სცნო მსოფლიოს 59-მა სახელმწიფომ. ამავე წლის 26 მაისს საქართველოში პირველად ჩატარდა საპრეზიდენტო არჩევნები, სადაც საქართველოს მოსახლეობის ამომრჩეველთა 87%-მა ხმა მისცა **ზვიად კონსტანტინეს ძე გამსახურდიას.**

1991-1993 წლებში ადგილობრივი კრიმინალების, ცრუ პოლიტიკური პარტიებისა და ჯგუფების, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის, როსტოვის სპეცდანიშნულების რაზმის, ძერჟინსკის სახელობის დივიზიის, 345 სჰაერო-სადესანტო პოლკის, შავი ზღვის სამხედრო-საზღვაო ფლოტის უშუალო მონაწილეობით დამხობილ იქნა საქართველოში კანონიერი ხელისუფლება, მთავრობა და პრეზიდენტი.

1991-1993 წლების სამხედრო გადატრიალებისა და ტერორიზმის შედეგად მოსულმა კრიმინალურმა ხუნტამ, რომლის მემკვიდრე ხელისუფლება ხართ თქვენ და ასევე ე.წ. ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები, დაარღვიეთ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის მ-2 მე-6, 37-ე, 25-ე,86-ე, 91-ე მუხლები და ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 24 მუხლი და საერთაშორისო სამართლის ძირითადი ნორმები.

1992 წლის 13 მარტს ქალაქ გროზნოში საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება: ,,ყველა აქტი, რომელიც მიღებულია საქართველოს არაკანონიერი ხელისუფლების მიერ, მათ შორის პარლამენტის დანიშვნის აქტი, გამოაცხადეს იურიდიული ძალის არმქონედ”. მათ შორის ,,საპარლამენტო,“ ,,საპრეზიდენტო” და ,,საკრებულოების” არჩევნები ითვლება უკანონოდ.

ასევე, ზემოთთქმულიდან გამომდინარე მოვითხოვთ მოგვცეთ პასუხი შემდეგ დასმულ კითხვებზე:

**1**. წარმოადგინეთ კანონი, დადგენილება ან რაიმე სხვა სახის სამართლებრივი აქტი, საქართველოში უცხო ძალის დახმარებით სახელმწიფო გადატრიალების სამართლიანობის შესახებ.

**2**. წარმოადგინეთ იურიდიული დოკუმენტი საქართველოს რესპუბლიკის, პრეზიდენტის და უზენაესი საბჭოს მიერ უფლებამოსილების მოხსნის, გადაცემის ან კაპიტულაციაზე ხელის მოწერის შესახებ.

**3**. წარმოაგინეთ კანონი, როგორც საერთაშორისო სამართლის, ასევე საქართველოს კონსტიტუციის, სადაც აღნიშნულია: სამხედრო კრიმინალური გადატრიალების გზით მოსული ხელისუფლების ლეგიტიმურობისა და მის მიერ გატარებული საპარლამენტო, საპრეზიდენტო და ადგილობრივი ორგანოების არჩევნების კანონიერების შესახებ.

**4**. დასჯადია თუ არა სისხლის სამართლის კანონის თანახმად, საქართველოში კანონიერი ხელისუფლებისა და პრეზიდენტის დამხობა და ითვლება თუ არა სამართალმემკვიდრედ 1992 წელს გადატრიალების გზით მოსული ხუნტის მემკვიდრედ დღეს არსებული ხელისუფლება.

**5**. დანაშაულად ითვლება თუ არა საქართველოს მოსახლეობის მოწოდება უკანონო ხელისუფლების მიერ დანიშნულ ცრუ არჩევნებში.

პასუხს მოვითხოვთ პრესისა და ტელევიზიის საშუალებით.

**გაეცანით სააკაშვილის ხელისუფლების დამცინავ, ,,ეროვნული თანხმობის სამართლიანობის აქტს”.**

საქართველოს პარლამენტი მიესალმება საქართველოში მიმდინარე ეროვნული თანხმობის პროცესს და მიიჩნევს, რომ უახლესი ისტორიის სწორი და პირუთვნელი სამართლებრივი შეფასება აუცილებელია ახალი ქართული სახელმწიფოს მშენებლობისთვის.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტი ადგენს:

**1**. საქართველოს პარლამენტი კვლავ ადასტურებს 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეული საქართველოს უზენაესი საბჭოსა და 1991 წლის 26 მაისს არჩეული საქარველოს პრეზიდენტის, აგრეთვე მათდამი დაქვემდებარებული სტრუქტურების (შეიარაღებული ძალების ჩათვლით) და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების ლეგიტიმურობას სათანადო კანონმდებლობით დადგენილ ვადებში. შესაბამისად გადაისინჯოს სისხლის სამართლის საქმეები, იმ პირთა მიმართ, რომელთა ბრალდება ემყარებოდა მითითებულ სახელისუფლებო სტრუქტურებში მათ მონაწილეობას და მათ პოლიტიკურ მრწამსს.

**2**. დაიგმოს 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის ანტიკონსტიტუციური შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალება.

**3**. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე მიხეილ მაჭავარიანი.**
**თბილისი 2005წლის 11 მარტი.**
№1104-I-ს.

მინდა ვკითხო სააკაშვილის ,,ხელისუფლებისა” და დღევანდელი რეჟიმის ,,პოლიტიკურ” ძალას ზემოაღნიშნული დადგენილების, რომელი პუნქტი იქნა შესრულებული. რათქმაუნდა არცერთი! ვინაიდან, შესრულების შემთხვევაში თქვენი პარლამენტის დადგენილების მეორე პუნქტის შესაბამისად, უმეტესობა განსასჯელის სკამზე აღმოჩნდებოდით! საქართველოში, სახელმწიფო გადატრიალების მოწყობის გამო!

აქედან გამომდინარე, თქვენს მიერ შედგენილი, ცინიზმით აღსავსე დადგენილება არ იქნა ამოქმედებული! და ის დარჩა მხოლოდ ფარატინა ფურცლად! საქართველოს მოსახლეობის თვალებში ნაცრის შეყრის მიზნით. და ამ ,,ძალის” კვლავ ხელისუფლებაში მოსვლა უნდა დაუშვას ქართველმა ხალხმა, რომელიც მუდამ ღალატობდა საკუთარ ხალხს?! ამ არსებული რეჟიმის, კვლავ სახელმწიფო მართვაში დატოვება არ უნდა იქნას დაშვებული? ვინაიდან ესენი ქართველებს ღალატობენ საკუთარ ხალხს, მხოლოდ პირადი გამდიდრებით არიან დაკავებულნი და უმოწყალოდ ძარცვავენ საკუთარ ქვეყანას და ენით აუწერელ სიდუხჭირეში ამყოფებენ სრულიად საქართველოს მოსახლეობას, რომელთა ,,პოლიტიკური მოღვაწეობა” მხოლოდ კოლაბორაციონიზმით არის დაკავებული. რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია საქართველოს დაუნდობელ მტერთან, რუსეთის იმპერიასთან!.

მხოლოდ ქართველ ერს ძალუძს 30 წლიანი ტირანიისაგან გათავისუფლება, ისტორიული სამართლიანობის აღდგენა და ჭეშმარიტი აღორძინება.

გფარავდეთ ღმერთი სამართლისა!

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას საგანგებო რწმუნებული საქართველოში -**
**ზურაბ ცხვიტარია**
18 მაისი 2021 წ. ფოთი

---

**ეკოლოგია**

# ჰესების მშენებლობა და მისი უკუშედეგები



ენერგია იყო და არის კაცობრიობის არსებობის წინაპირობა, ელენერგიის წარმოებასა და მოხმარებაში ლომისწილი მაღალგანვითარებულ ქვეყნებზე მოდის, მართალია ჩვენი ქვეყანა გარკვეულწილად ჩამორჩება ამ ეტაპს, მაგრამ ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად იზრდება ელექტრო ენერგიის გამომუშავება, და თუ გავითვალისწინებთ მისი მოხმარების ზრდად მასშტაბებს ადვილი იქნება დასკვნის გამოტანა, რომ პლანეტა ამ დატვირთვას ვერ გაუძლებს.

აღნიშნულთან დაკავშირებით, ჩვენთვის დამაფიქრებელია ის ფაქტი, რომ უახლოეს მომავალში იგეგმება კიდევ ერთი ,,ჰესის”-ნამოხვანის მშენებლობა მდინარე რიოზე. იგი მდებარეობს 30კმ-ის ზემოთ ქ. ქუთაისიდან, რომელიც აიგება გუმათ-ჰესის I და II; რიონი ჰესის ლავარციხე ჰესის კასკადების ზემოთ. პროექტი ნამოხვანი-ჰესის სიმძლავრე 500-მდე მეგავატის სიმძლავრის იქნება, წყალსაცავის წლის სარკის ფართობი კი 12 კვ.კმ-ს მიაღწევს, დაანგარიშებულია, რომ მდინარის შესართავთან ჩააქვს ათეულობით მილიონი ტონა ნატანი.

ნამოხვან ჰესს ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ შეუძლია შემდეგი უარყოფითი შედეგები გამოიწვიოს (აღარაფერს ვამბობთ ატომურ ელ.სადგურებზე, რომლებიც უმძიმეს ზარალს აყენებს კაცობრიობას).

1. წყალსაცავის შევსების შედეგად წყლის ქვეშ აღმოჩნდება ტყის მასივები და სასოფლო-სამეურნეო სავარგულებ.

2. წყალსაცავის მიმდებარე ტერიტორიაზე შეიცვლება მიკროკლიმატი, რაც გამოიხატება ტენიანობის ზრდით, ღრუბლიან დღეთა მატებით და ნალექების რაოდენობის ზრდით.

3. წყალსაცავის პირველი წლების მუშაობის პერიოდში მოხდება მდინარის ნატანი მასალის აკუმულაცია, რაც მდინარის ქვედა წელში გამოიწვევს შეუქცევად პროცესებს.

4. წყალსაცავის ზონაში გაძლიერდება სეისმური აქტივობები და რაც მთავარია ზღვისპირა რაოდენობისათვის ძველი და ახალი კაშხლების სათაო ნაგებობები გამოიწვევს შავი ზღვის ეკოლოგიური პრობლემების თანდათანობით გაუარესებას.

5. ასევე ამ ჰიდროკვანძების მშენებლობის გამო დაიკარგება ძვირფასი სარეწაო თევზების საქვირითე ადგილები, შესაბამოსადშემცირდება თევზჭერის მოცულობაც.

აღნიშნულ ფაქტს ემატება ისიც, რომ ამჟამად მდ. ჭოროხზე (თურქეთის ტერიტორიაზე) შენდება ორი კაშხალი, რომელიც ხელს შეუშლს ორი მდინარის მიერ ქვა-ღორღის ჩამოტანას-შესაბამისად გაღარიბდება აჭარის სანაპირო ზოლი, ამდენად ზღვა სანაპიროებს წალეკვით დაემუქრება, თუ აღნიშნული პროცესი არ შეჩერდება მოსალოდნელია დროთა განმავლობაში ბათუმის აეროპორტის ტერიტორიის დაკარგვა, ასეთივე საფრთხეა მოსალოდნელი ქ. ფოთისა და მთელი კოლხეთის შემოგარენისათვის.

ზემოთ მოტანილი შედეგებიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიგვაჩნია ულევი - ალტერნატიული წყაროების -მზისა და ქარის განახლებადი ენერგიის გამოყენების ახალი ტექნოლოგიების შემუშავება (მით უფრო, როდესაც მსოფლიო პრობლემას წარმოადგენს წიაღისეული ენერგო-რესურსების გამოლევადობის საშიშროება), რომლებიც არანაირი ეკოლოგიური წონასწორობის რღვევას არ გამოიწვევს. ამასთან ქარისა და ზღვის ენერგო-რესურსებით მდიდარია ჩვენი ქვეყანა, ძირითადად დასავლეთ საქართველო, სადაც ძლიერი ქარების სიხშირით გამოირჩევა მდ. რიონის ხეობა-ქუთაისი-ფოთი, ასეთი ქარების ძირითადი ჩვევების - სექტემბრის დასაწყისიდან აპრილის ბოლომდე, და დღევანდელი ტექნიკური აღჭურვილობის პირობებში მისი ექსპლუატაციაში გაშვება მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ქვეყნის ენერგო სისტემის სტაბილურობას, და რაც მთავარია, არანაირ ეკოლოგიურ საშიშროებას არ მოუტანს გარე სამყაროს.

**ფოთის სს ცენტრის ხელმძღვანელი**
**ს.მ. მეცნიერებათა დოქტორი**
**ალ. ხურციძე**

## ლიტერატურული გვერდი

### იგავი

# ცრემლნარევი ღიმილი

**ზვიად გამსახურდია**

ერთი ფილოსოფოსი, ფსიქოლოგი და ეკონომისტი სასეირნოდ გამოსულიყვნენ გზაზე ჭას წააწყდნენ, შიგ კაცი ჩავარდნილიყო და იხრჩობოდა.

,,მეგობარო, რა გაგჭირვებია?" -ჩასძახეს მათ. ,,ვიხრჩობი, თოკი მომაშველეთ!"-ამოსძახა კაცმა.

ფილოსოფოსმა, ფსიქოლოგმა და ეკონომისტმა იწყეს თათბირი, თუ რა ეღონათ. ფილოსოფოსმა თქვა: ,,უწინარეს ყოვლისა საჭიროა ლოგიკური დასაბუთება იმისა, რომ ეს კაცი კაცია, რომ ეს ჭა -ჭაა და რომ ეს კაცი იხრჩობა ამ ჭაში. ლოგიკურად უნდა დადგინდეს აგრეთვე რა რიგ უკავშირდება თოკის ცნება მოცემულ სიტუაციას".

ფსიქოლოგმა თქვა "საჭიროა აღვწეროთ ამჟამად ამ კაცის ფსიქიკის მდგომარეობა: შევისწავლოთ გამღიზიანებელთა ზემოქმედება მის ფსიქიკაზე და სუბიექტის რეაგირება მათზე. შესწავლილ უნდა იქნას, წამში რამდენი აზრი და წარმოდგენა გაუელვებს მას ამჟამად თავში. ამისათვის კი საჭიროა აპარატურა. საჭიროა აგრეთვე მოტივირება, თუ რად აღეძრა მას ფსიქოლოგიური ასოციაცია ,,თოკი".

ეკონომისტმა თქვა: ,,საჭიროა გავიგოთ, რომელ სოციალურ ფენას ეკუთვნის ეს კაცი, რა წარმოებით ურთიერთობებთან აქვს საქმე რახან თოკს მოითხოვს. ".

მალე გზად მიმავალი იურისტი შემოუერთდა მათ და ასეთი რჩევა მიაწოდა: ,,ამ მოქალაქემ სასწრაფოდ უნდა დაწეროს განცხადება ჭიდან ამოყვანის შესახებ, შემდეგ თავი მოიქექა და თქვა: ,,ოხ სულ დამავიწყდა, რომ დღეს კვირაა და კანცელარია დაკეტილია.განცხადებას არავინ მიიღებს".

ამასობაში ერთმა გლეხმა გამოიარა, დაინახა, კაცი იხრჩობაო, სასწრაფოდ მოარბენინა თოკი და ამოიყვანა.

ადგილობრივმა გაზეთმა მადლობა გამოუცხადა ,,მეცნიერთა ჯგუფს" კაცის გადარჩენისათვის, ხოლო გლეხს დაევალა ჭის გადახურვა, რათა ხელმეორედ არავინ ჩავარდნილიყო შიგ.

# თენგიზ რამიშვილი



*****

შეხედე დედის დაშაშრულ ხელებს,
თუ კი რამე გსურს მითხარი მერე;
შეხედე დედის დაღარულ სახეს,
მზისგან გათანგულ, დაკოჟრილ
თითებს,
ამოღამებულ უპეებს თვალთა,
რეცხვით ფერწასულ წინსაფრის
კალთას,
სევდით მომზირალ უძირო თვალებს,
უკვე გარდასულ სიცოცხლის ალებს,
ფიქრიან ფუსფუსს გამშრალ ბაგეთა,
ვისთვის დაღამდა, ვისთვის გათენდა,
დღეთა ჭიდილში დარჩენილ წამებს,
თუ კი რამე გსურს მითხარი ბარემ?!

## კეთილ საქმეს კეთილი

კეთილ საქმეს კეთილი, სუფთა კაცი აკეთებს,
ბნელი უმდა დაიწვას, ღამე უნდა გათენდეს,
სიტყვა გამოზომილი, გაფრენილი ჩიტივით,
სიბრძნე გამოუთქმელი, ობოლ მარგალიტივით.
ღმერთო! რამ დაგაგლახათ, ხალხიც და მილეთიც,
ოცნებას ვერ დაფარავ უხეშ სინამდვილეთი,
კეთილ საქმეს კეთილი, სუფთა კაცი აკეთებს,
ბნელი უნდა დაიწვას, ღამე უნდა გათენდეს.

*****

სოფლად თაფლის სუნი იდგა,
აკაციის ზეთებით,
დილის მზე თავს იწონებდა,
თავის დიდი მზეებით,
მოჰკიოდა მიკიოტი,
იდგა ორომ ტრიალი,
დედამიწა ბუბუნებდა
განცდილი იდეალით,
იცინოდა ოჩოკოჩი
მონუსხული ქალივით,
რიონ გაღმა ნისლი იწვა,
როგორც ქალის მანდილი.

*****

მე ახლა ისე მშია ლექსები,
კარგო ლექსები ისე მწყურია,
მე ყოველ სიტყვას ვეალერსები
და იგი სიტყვა სასწაულია.
ფიანდაზებად მოფენილ გზაზე
მოსხურებული სისხლის წვეთები,
შეხიზნებული სულეთს ამაზრზენს
გამოუცნობი სულისკვეთებით.
მაჩუქე ღმერთო ზეცის ამბორი
და მომანიჭე ძალა ზევსური,
ეს ელვარება ჩვენი მთა-გორის
არის სიცოცხლის დიდი მეგზური.



*დარწმუნებული ვართ მართლაც მთელი საქართველო იყო მოხიბლული პატარა **ირმა სოხაძის** სიმღერებით, ეს იქნებოდა „თხამ ვენახი შეჭამა" თუ სხვა. ყოველთვის მზად ვიყავით გვესმინა, დავმტკბარიყავით-სიხარული განგვეცადა...*

*გვახარებს რომ დღესაც საზოგადოებრივ სამსახურში იმყოფებით ქალბატონო ირმა.*

*პატივისცემით, გაზეთის რედაქცია*

# დავით ჩირგაძე

## სიხარულის გაზაფხული

ეძღვნება ირმაა სოხაძეს

ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი
რომ ვოცნებობდი შენზე,
შენი ოცნების ცისკარი
ამოდიოდა სერზე.
გამხილდა რაღაც ახალი,
ამ მღელვარების ხანა,
სიცოცხლე თავზე დაგხარის
დარდმაც არ დაახანა.
რომ ყველაფერი დარდს იწვევს,
რაც სიხარულის გახლავს,
გული რომ აღარ გაგიწყრეს
ვინმეს თუ დაუნახავს.
გელოდი, რამდენს გელოდი,
სადაც ქარები ქროდა,
გულს მაინც ვეღარ ვშველოდი,
არადა შველას მთხოვდა,
რომ სიხარულის განაჩენს
განა უარყოფს ვინმე,
გული გვაუწყებს დანარჩენს
რა გრძნობა გაუღვივე.
რომ მოლოდინის საზღვრებში
ხშირია გულდაწყვეტა,
მით გულუბრყვილო ბავშვებში
ტუჩების მნათე კვნეტა.

## ქრისტეს გაზაფხული

ვთქვი; მაღალ ღმერთთან
მივდივარ
იქნებ გამომყვეს ვიღაცა,
გზააბნეულის ხიდი ვარ,
ქრისტეს მსახური ვითარცა.
გამიწყრა წუთისოფელი,
გადამემტერა გლახადა,
არ დარჩა სალაღობელი,
მზე სანატრელი გახადა.
რა დავუშავე არ ვიცი,
გულში რა ფიქრებს მარხავდა,
მითხრა: ხასიათს არ იცვლი
ჯავრს ჯავრი გადაახვავდა.
გული რომ აღარ დავანდე,
სულთან გამართა კამათი,
გიჯობსო! მუხლზე დავარდე
დათმოო წესი-ადათი.
და მაინც, რა ზნე ქონია



ან აზროვნების სიმცირე,
გზები სულ გაუქონია,
გული რომ აგიციმციმდეს.
გაქცევით სად გაექცევი,
სადღა დაიდებ ბინასა,
ტანჯვა-წამებას ვეჩვევი,
ეშმაკს ვერ ნახავ მძინარსა.
ვისღა შევჩივლო არ ვიცი,
რუსთველზე ვამბობთ მკვდარია,
ქრისტეს გაზაფხულს განვიცდი,
გზები, რომ გაუკვალია.

# ეთერ ლაცარია

## ლაშა ტალახაძე-ლაშამ ხუთჯერ მოიპოვა ევროპის ჩემპიონობა და ორჯერ დაამყარა მსოფლიოს რეკორდი მოსკოვი,2021 წელი 11 აპრილი



გოლიათმა მთებმა გზარდა,
საქართველოს ბუნებამ,
შენზე უფრო მძლე ვაჟკაცი
სხვაგან არ მეგულება.'

ეს პატარა საქართველო
თურმე არის რამხელა,
შენ რეკორდი დაამყარე
გახდი მსოფლიოს ხელა.

პირველობა მოიპოვეთ
გუნდურ შეჯიბრებაშიც,
ჩვენი ოქროს ბიჭები ხართ
უთვალავი თქვენ ტაში.

აფრიალდა ჩვენი დროშა
გამიტაცეს ფიქრებმა,
საქართველო ერთიანი
უსასრულოდ იქნება.

ჰიმნს უკრავენ აღტაცებით
მაღალ სულისკვეთებით.
მოგილოცავთ გამარჯვებას
ჩვენი წმინდა ხელებით.

6 მაისი წმინდა გიორგის
ხსენების დღეა

წმინდა გიორგი შენს სახელს
ატარებს ბევრი ქართველი,
ქრისტიანობა ინამე,
იყავი მისი დამცველი.

ხატები ყველას ოჯახში,
არა ორი და მეტია,
შენი იმედი მუდამ გვაქვს,
ვიცით რომ შენთან
ღმერთია.

ძლევამოსილო ჭაბუკო,
გაუძელ ყველა განსაცდელს,
შენი უკვდავი სახელი
მოფენილია მთა და ველს.

თეთრ ცხენზე ამხედრებულო,
ხარ გამარჯვების სიმბოლო,
სიმართლის მატარებელო,
უკვდავო აღმსარებელო.

შენა ხარ ჩვენი საუნჯე
ერთგულება და ვედრება,
ჩვენს სიყვარულს კი
შენდამი
ვერავინ ვერ შეედრება.
ყველა კუთხეში ანათებს
შენი სახელის ტაძარი,
ღმერთამდე ამაღლებულო
შენა ხარ ჩვენი ლამპარი.

## ჯანო ლორიას ხსოვნას

„შენ ჩვენთვის როგორ არახარ, ეს ჩვენ არავართ შენთვის"



ადამიანები უკვდავები რომ არავართ შენმა მოულოდნელმა გარდაცვალებამაც შეგვახსენა, შეგვახსენა ისიც, რომ მარადიული-ღვთიური საუფლო და რწმენაა, შენ რწმენით კაცობით, სიყვარულით იცხოვრე და იმქვეყნიური საგზალიც ისე მიგაქვს, უკან მოხედვის არ გეშინია და აქ დარჩენილებსაც ვალად გვიტოვებ შენი კაცობის ხსოვნას. ოჯახს, ახლობლებსა და სამეგობროს ძალიან დააკლდება შენი ყურადღება, პატივისცემა და მზრუნველობა. ისე წახვედი ყველას პატივგება მოასწარი, სულ გეჩქარებოდა სიკეთის კეთება, გასცემდი სითბოს და სანაცვლოდ არაფერს ითხოვდი. სულ სხვა იყო შენი თაობა-ფოთი და ფოთელები. მეგობრები შემოგეცალა, ალბათ, იქ მელოდებიან და სამუდამოდ ერთად ვიქნებითო. ტევადი იყო შენი პიროვნება-ერთ კაცში - კარგი ქართველი, კარგი მოქალაქე, მეუღლე, მამა და ბაბუა. მაგამ ყველაზე დიდი ღირსება ფოთელობა იყო-ფოთელებს ერთი სიყვარული აქვთ-საკუთარი ქალაქის სიყვარული - ეს იყო თქვენი თაობის სავიზიტო ბარათი. მერე მინელდა ყოველივე, ჩვენი ოჯახის ცხოვრება ქვეყნის ცხოვრების თანაზიარი იყო. იყო სიძნელეები, სირთულეები, პრობლემები რომელთა მოგვარება დიდ ძალისხმევას მითხოვდა, თუმცა ადამიანებთან ურთიერთობისათვის დროს მაინც პოულობდი. წინაპართა საფლავებსაც არ ივიწყებდი-იმ ქვეყნიდან გვეხმიანებიან, რომ კარგი კაცები ვიყოთ, გასაჭირს გავუძლოთ და ერთმანეთი გვიყვარდესო. ასე მოგონებებში აცოცხლებდი და ეფერებოდი წარსულის ლამაზ დღეებს. ზოგჯერ სევდიანიც იყავ, როგორც კედელზე მამის სურათი. და შენც მიეახლე...

სიცოცხლის ძაფი არ წყდება, ცხოვრება გრძელდება-შვილები, შვილიშვილები... შენ აღასრულე ვალი ღვთისა და კაცის წინაშე- კაცმა ხე უნდა დარგოს, სახლი ააშენოს-ოჯახი უნდა შექმნას. პირნათლად აღასრულე ყველაფერი, მეუღლესთან, მზია ქარჩილაძესთან ერთად.ყველას გვეამაყებოდა შენი წარმატებები ხელმძღვანელ სამეურნეო თანამდებობებზე და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

ირგვლივ ყველაფერში შენი ნახელავი იგრძნობა-შევყურებთ ყოველივეს, დავდივართ, ვწუხვართ და გვენანება.

მსუბუქი იყოს შენთვის მშობლიური ფოთის მიწა, შენს საფლავს მონატრების ცრემლი არ მოაკლდება, იძინე მშვიდად.

**შენი საფიცარი ოჯახი.**

## დავით ხვიჩიას ხსოვნას

შენს დაბადების დღეს 29 მაისს, უშენოდ ვხვდებით-59 წლის გახდებოდი

ბოლო დროს ძალიან შემოგვეჩვია სიკვდილი. კიდევ ერთი ნაღდი კოლხი კაცი წავიდა ამ ქვეყნიდან, სულით ხორცამდე მეგრელი, მისი ყველა საუკეთესო თვისების მატარებელი, ღირსეული და კაცთმოყვარე, ალალი და უღალატო. ჭალადიდის ჭალებში გაირბინა მისმა ბავშვობამ, სულ სხვა ხიბლი აქვს ამ მხარეს, ფაზისის სიახლოვეს, და, ფაზისის მემკვიდრეს. წინაპართა გზის გამგრძელებელი მათი ადათწესების დამფასებელი-სტუმართმოყვარე, ავკარგიანი, სხვათა ჭირის გამზიარებელი, მეგობრული, ახლობლების იმდი. კიდევ ბევრი რამის დაწერა



შეიძლება, რის გამო იგი ძალიან დაგვაკლდება და მოგვენატრება. ბოლო წლების ცხოვრების უკუღმართობამ შეარყია მისი ჯანმრთელობა. ყოფაც გაუსაძლისი გახდა, ოჯახი, მეუღლე, შვილები, რომლებისთვისაც ყველაფერს აკეთებდა და მათი სიკარგე, სიჯანსაღე ახარებდა.

ეტყობა, დაიღალა ცხოვრებასთან ჭიდილში, თუმცა, იმდენად ძლიერი იყო ფიზიკურად, მის წაქცევას არავინ ელოდა-მაგრამ ადამიანი ერთხელ გატყდება, თურმე ნერვებიც უღალატებს, თავს უსაშველო ტკივილი დაატყდება.

მიდის და მიაქვს დარდი ამ ქვეყნის დაუნდობლობისა, ბოლომდე ვერ გაიარა ცხოვრების გზა, ვერ გაიხარა, ვერ დატკბა, ძალიან გვენანება. ერთი რამ გვაიმედებს-შვილები მამის გზას აგრძელებენ, შრომობენ და ღირსეული ფოთელები არიან.

სიცოცხლე კაცად ყოფნის სევდა ყოფილა, ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი დიდებული სული.

დაბადების დღეს გილოცავთ, სხვა რა დაგვრჩენია- ,,ჭიქა ღვინო და საფლავთან მიტანილი ყვავილები".

**მეგობრები**

## მანუჩარ ნოდარის ძე ჩოჩიას მარადიულ არდავიწყებას!



მართალი ქართველი კაცის - მანუჩარ ნოდარის ძე ჩოჩიას მარადიულ არდავიწყებას!

,,როგორ გვიყვარდი, ჩვენთვის
იყავ კაცი მართალი,
ვფიცავთ შენს ძმობას, რაც
ანდერძად შენ დაგვიბარე,
ვწუხვართ და ვნაღვლობთ,
გეთხოვებით გულდაწყვეტილნი,
რომ ვერ გიხსენით,
სიკვდილისგან ვერ დაგიფარეთ."

ცრემლებს ვერ ვიკავებთ, გული გვიკვდება და სუნთქვა გვეკვრის!

ჩვენი ლომგული ვაჟკაცი ბიჭი აღარა გვყავს - დღემდე გაუგონარმა ვერაგმა და მუხანათმა სენმა წაგვართვა მანუჩარ ნოდარის ძე ჩოჩიას სიცოცხლე!

გლოვის ზარმა ჩამოკრა ჩოჩიების, ახობაძეების შენი დედულ-მამულის ოჯახებში, შენს მშობლიურ ჯულაშვილის ქუჩაზე, შენს სათაყვანებელ ფაზის ქალაქში, სრულიად სამეგრელოში და საქართველოში - გაოგნებულები ძლივს ვიჯერებთ უკვე ჩვენთან არა ხარ და ზეცად ამაღლდი!

ერთი კვირაა ფეხზე დაგიდგა გორის სამხედრო ჰოსპიტალის მთელი სამედიცინო პერსონალი! არავითარ შემთხვევაში არ დავანებებთო ვერაგ ავადმყოფობას ასეთი ლამაზი სულის და დევგმირული აღნაგობის კოლხ ვაჟკაცსო! ვაგლახ, რომ ვერ შევძელით შენი გადარჩენა ჩვენო გულმართალო და გულთბილო ვაჟკაცო!

ერთვი თვის უკან 25 მარტს, დაბადების 40 წელი შეგისრულდა, ვაი რომ შენი მიწიერი ცხოვრების ბოლო დაბადების დღე და ბოლო იუბილე!

ყველამ გულითადად მოგილოცეთ შენი ზეიმი, ყველამ დაგლოცეთ და ყველაფერი ლამაზი და მშვენიერი გისურვეთ! მოკვდავთაგან ვერცერთმა ვერ შევამჩნიეთ შენს მუდამ ღიმილიან სახეზე და სიყვარულით სავსე თვალებში მოკლე ხანში ზეცად ამაღლებისთვის რომ ემზადებოდი თურმე!

გვაპატიე მანუჩარ, ჩვენო კარგო ბიჭო, ჩვენო საიმედო, გაჭირვების ტალკვესო და მოამაგევ, რომ ვერ გაგიფრთხილდით და ვერაგ სენთან ბრძოლაში ვერ გაგამარჯვებინეთ!

რით ვინუგეშოთ თავი, ვისაც ასე უზომოდ გვიყვარდი! რით ვანუგეშოთ შენი დიდი და სახელოვანი საძმო-სამეგობრო, განუყრელად რომ მოგყვება საბავშვო ბაღიდან, სკოლიდან, ქუჩიდან, უბნიდან, სამსახურიდან, ქალაქიდან, ასე რიგად რომ გყავდა ჩახუტებული, მოფერებული და მოსიყვარულებული შენი ხანმოკლე ცხოვრების მანძილზე!

შენს დედ-მამას რა ვუთხრათ მანუჩარ, მათ აჯობეს ვერაგ ავადმყოფობას და გულის ფანცქალით წუთი -წუთზე გელოდებოდნენ შენი სახლის კარს რომ შემოაღებდი ომახიანი შეძახილით - დედი მოვედი!

ამაღამ შუაღამეს მოგასვენებენ შენი სულიერი ძმები შენს ქალაქში, შენს სახლში და ვაი იმ ავ დროებას, როდესაც შენი დედ - მამა, შენი სისხლი და ხორცი, საძმო, სამეგობრო, სამეზობლო ჯეროვნადაც ვერ დაგიტირებთ და ვერ გაგაცილებთ ჩვენს მრავალ ჭირ - ვარამ გამოვლილ ქვეყანას მოდებული დღემდე გაუგონარი, დიდი ჟამიანობის გამო!

მიდიხარ და ჩვენი გულები თან მიგაქვს!

მიდიხარ, რომ მუდამ ჩვენთან იყო შენი თაობის ყველაზე ლამაზი და კოხტა ნიშან-თვისებებით სავსე ჩვენო მანჩო!

ყველანი გაასმაგებული სიყვარულით მოვეფერებით შენს სათაყვანებელ მშობლებს - ქალბატონ ნუნუს და ბატონ ნოდარის, ასე რიგად რომ გვიყვარდა შენი, ბორისის და ნოდარის ვაჟკაცებად და კაცებად გაზრდისათვის, რათა ოდნავ მაინც შევუმსუბუქოთ ეს მძიმე ხვედრი!

ყველანი ვილოცებთ შენი სულისათვის, რათა ზეცად ამაღლებიდან მეორმოცე დღეს უფალმა დაგამკვიდროს იქ, სადაც მართალნი განისვენებენ!

ვნების კვირის პირველ დღეს ამაღლდი ზეცად და ცათა სასუფეველში დავანებული, უფლის ამალაში, მისგან ხელმარჯვნივ მდგომი შეხვდები უფლისა და ჩვენი მაცხოვრის მკვდრეთით აღდგომის 1988 -ე ბრწყინვალე დღესასწაულს, ასე რომ ელოდება კაცთა მოდგმა!

მიდიხარ - ტკბილი გქონდეს მგზავრობა ჩვენო მანუჩარ!

სამარადჟამო სიყვარულით და არდავიწყებით

**პაატა ვაჟას ძე გეგენავა**
**შენი უმცროსი ძმის შვილის -**
**დავით ნოდარის ძე ჩოჩიას დედის**
**- ელენეს მამა.**
**ქრისტეშობიდან 2021 წელი,**
**იგრიკას 26**



დედა ნუნუ ახობაძე, მამა ნოდარ ჩოჩია, ძმები - ბონდო, ნოდარი, ძმისშვილები - ნინო, საბა, დავითი, რძლები- ჟანა დამენია, ელენე გეგენავა, დეიდა მარინა ახობაძე, მამიდა ციური ჩოჩია, ბიძები - სერგო, მამუკა ახობაძეები, თემურ ხაჯიბეგი, ბიცოლები - ეკა წურწუმია, ციცინო ბალანჩივაძე ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 40 წლის ასაკში ხანმოკლე მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

### მანუჩარ ნოდარის-ძე ჩოჩია

პანაშვიდი 27, 28 აპრილს.
დაკრძალვა 29 აპრილს 15:00 საათზე
მისამართი: ქალაქი ფოთი, კოსტავას ქუჩა №70


## განცხადება:

**იყიდება: ორსართულიანი კაპიტალური სახლი ქალაქის ცენტრში, განაშენიანებული ეზოთი.მის:იერუსალიმის №4**

**ტელ: 551 499 555**



## მხატვრული ხედვა, ახალი დიზაინი



*თუ გინდათ თქვენი სამუშაო ადგილი, ოფისის გარე ხედი, ინტერიერი გაალამაზოთ, მიმართეთ სარეკლამო სამსახურს. აქვე დაგიმზადებენ ველოსიპედისა და მოპედის ნომრებს.*

*თქვენს დაკვეთას შეასრულებს მხატვარ-დიზაინერი რევაზ ჭანტურია.*

*ტელ: 551 94 00 48 (რიონის სანაპირო, ბაზრის ტერიტორია)*



რედაქციის მისამართი: ქ.ფოთი, თამარ მეფის №52 , საკონტაქტო ტელ: (0493) 22-25-13 გაზეთი იბეჭდება ქალაქ ფოთში შ.პ.ს. ,,ირიდაში"
E-mail: k.khobalia@gmail.com
რედაქტორი ზ. აბრალავა